არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრი "განთიადი"

წ ე ს დ ე ბ ა

2014 წელი

მუხლი 1. სამსახურის შექმნა, რეგისტრაცია

1.არასამეწრმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - **„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრი "განთიადი"**(შემდგომში - სამსახური) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ბოლნისის მუნიციპლიტეტის მიერ დაფუძნებული დღის განმავლობაში მოქმედი დაწესებულება და მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტეგრირება საზოგადოებაში, მათი განვითარების ხელშეწყობა და უნარების მიხედვით მათი განათლების უზრუნველყოფა.
2.სამსახური წარმოიქმნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.
3.სამსახურის რეგისტრაცია გულისხმობს სამსახურის დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადის - დამფუძნებელთა შეთანხმების ნაწილის მონაცემების ასახვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ პარტნიორები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში მოაწერენ ან იგი დადგენილი წესით დამოწმებული იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
4. დამფუძნებელთა შეთანხმება, რომლის რეგისტრაციაც არ არის სავალდებულო, იდება წერილობითი ფორმით და იგი შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ ენაზე (დამფუძნებელთა შეთანხმება/წესდება).

მუხლი 2. სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი.

1.სამსახურის სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრი "განთიადი".
2. სამართლებრივი ფორმა: არასამეწრმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
3. იურიდიული მისამართი: ქ.ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.№50.
4. ელექტრონული მისამართი: ----------.

მუხლი 3. საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, იურიდიული სტატუსი, უფლებაუნარიანობა

1.სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ", 2005 წლის 6 ოქტომბრის გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდის ანგარიში, ეს წესდება და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2.საქართველოს კანონმდებლობით სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია.
3.სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი - ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში (ანგარიშები) საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში და სხვა.
4. სამსახური საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით.
5.სამსახურს უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
6. სამსახურს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული და თუ იგი არ ეწინააღმდეგება სამსახურისა და დამფუძნებლის ინტერესებს.
7.სამსახური უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება სამსახურის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
8.იმ საქმიანობათა განხორციელების უფლება, რომელთათვისაც კანონი აწესებს სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის ვალდებულებას, სამსახურს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან.
9.სამსახური უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე.
10.სამსახურის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. საქმიანობის სფერო, მიზნები

1.სამსახური დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ახორციელებს მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას.
2.სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნებია:
ა)შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტეგრირება საზოგადოებაში, მათი განვითარების ხელშეწყობა და მათი განათლების უზრუნველყოფა უნარების მიხედვით;
ბ)თანამშრომლობა დაწესებულებულებაში გაერთიანებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებთან, ასევე მშობელთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათი აქტიური მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში;
გ)საზოგადოებრივი აზრის მომზადების ხელშეწყობა და თანამშრომლობა მასმედიასთან;
დ)სკოლამდელი (4-7) და სასკოლო ასაკის (7-18) მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფსიქო-ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების კომპლექსური ფსიქო-პედაგოგიური რეაბილიტაცია და სოციალური ადაპტაცია ინტეგრირებული

სწავლა-აღზრდის პირობებში, მათი მომზადება ინტეგრირებული და ინკლუზიური განათლებისთვის საბავშვო ბაღებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
ე) ბავშვებზე და ახალგაზრდებზე ორიენტირებული ფსიქო-სოციალური ადაპტაციის განხორციელება ინდივიდუალური გეგმების მიხედვით, სოციალური და ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური (წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში, სასკოლო-საბაზისო უნარ-ჩვევები) და არააკადემიური უნარ–ჩვევების განვითარებას (შემეცნებითი, სამეტყველო, მოტორული, სოციალურ-ემოციური, თვითმომსახურება, ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ–ჩვევები);
ვ)სარეაბილიტაციო ღონისძიებების პარალელურად დაწესებულება განახორციელებს საერთო, ერთობლივ ღონისძიებებს: შემოქმედებით, სპორტულ, მუსიკალურ, შრომით აქტივობებს ბოლნისის სკოლების ჯანმრთელობის დაწესებულებთან ერთად;
ზ)სპეციალისტების ტრენინგებში მონაწილეობა დამატებითი ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
2.სამსახური თავისი ძირითადი საქმიანობის (მიზნებისა და ამოცანების) შესასრულებლად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:
ბ)სამუშაოდ იღებს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებს(პედაგოგებს), რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ტრენინგები;
გ)უზრუნველყოფს ბავშვების და ახალგაზრდების (7-18 წლის) მიღებას და მათ ჩართვას საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში, განიხილავს მშობელთა წინადადებებს, განცხადებებს და ეხმარება მათ;

მუხლი 5. დამხმარე მეურნეობა

სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული შემოსავლები გამოიყენება მხოლოდ დაწესებულების მიზნების მისაღწევად.

მუხლი 6. სამსახურის ქონება და ფინანსური სახსრები

1.სამსახური დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად..
2.სამსახურისთვის თვითმმართველი ერთეულის – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის თაობაზე და სამსახურის წესდებაში ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
3. სამსახურის დაფინანსების წყაროებია:
ა)ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
ბ)უსასყიდლო ან საქველმოქმედო შენატანები, ორგანიზაციების, საწარმოებისა და მოქალაქეების შემოწირულობანი;

გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
დ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
ვ) სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4.შემოსავლები მთლიანად ხმარდება სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება სხვა მიზნით აკრძალულია.

მუხლი 7. სამსახურის დამფუძნებელი

1.არასამეწრმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის "განთიადი" დამფუძნებელია თვითმმართველი ერთეული - ბოლნისის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.106, საინდეფიკაციო კოდი 225393963, სერია რსბ № 117/472404). სამსახურის დამფუძნებლის უფლებამოსილებებს ახორციელებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 8. სამსახურის მართვა, დირექტორი

1.სამსახურის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი. დირექტორთან იდება ხელშეკრულება; დირექტორთან (აგრეთვე სამსახურის სხვა თამანშრომლებთან) ურთიერთობა რეგულირდება შრომის კოდექსით, სამსახურის წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.
2.დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში დაწესებულების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.
3.დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს სამსახურის სახელით და წარმოადგინოს სამსახური მესამე პირებთან ურთიერთობაში.
4.დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.
5. სამსახურის დირექტორი:
ა) ხელმძღვანელობს სამსახურის მუშაობას;
ბ)წარმართავს და ორგანიზებას უწევს სამსახურის საერთო და სასწავლო საქმიანობას, პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობას;
გ)მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამსახურს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს კანონით დადგენილი წესით, განაგებს და განკარგავს სამსახურის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების (ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს წინაშე _ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი) მიზნობრივად ხარჯვაზე;
დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
ე) ხსნის ანგარიშებს ბანკში;
ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს;
ზ) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიურ ბალანსსა და ანგარიშს;

თ)დამფუძნებელთან შეთანხმებით სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სამსახურის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;
ე)დამფუძნებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის მართვის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, შეაქვს ცვლილებები მასში;
ვ)დამფუძნებელთან შეთანხმებით უფლებამოსილია შეიძინოს, გაასხვისოს და უფლებრივად დატვირთოს უძრავი ქონება; საჭიროების შემთხვევაში იღებს სესხს;
ზ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტებს;
თ)უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ნორმების დაცვას დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროში.
6.დირექტორმა თავისი ამოცანები უნდა შეასრულოს გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია სამსახურისთვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს სამსახურის წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პირადად, მთელი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 9.. სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვა- ანგარიშსწორება

1.სამსახური ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი, დადგენილ ვადაში წარუდგინოს დასამტკიცებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადი..

მუხლი 11. საქმიანობის კონტროლი

1.სამსახურის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობას.
2.სამსახურის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი აუდიტორის მეშვეობით.
3.დირექტორი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელს მოთხოვნის შესაბამისად.
4.სამსახურის საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სასამართლოს შეუძლია 3 თვემდე ვადით შეაჩეროს სამსახურის საქმიანობა, თუ იგი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ სამსახური კვლავ აგრძელებს საქმიანობას.

სასამართლოს მიერ სამსახურის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს სამსახურის რეგისტრაციას.

მუხლი 12. სამსახურის რეორგანიზაცია/ ლიკვიდაცია

1.სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

2.სამსახურის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38[1] მუხლის შესაბამისად.

3.ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4.დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება სამსახურის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

5.ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. სამსახურის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება სამსახურის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

7.თუ სამსახურის დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

1.სამსახური პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.
2.სამსახურის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. დაწესებულების ვალდებულებებისთვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი პასუხს არ აგებს. ასევე არ აგებს პასუხს სამსახური თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ვალდებულებებისთვის.
3.დავა სამსახურს, დირექტორსა და სამსახურის მუშაკს შორის წყდება საქართველოს შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 14. სამსახურის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება.

1.სამსახურის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია დამფუძნებლის მიერ სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება.
2.სამსახურის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს სამსახურის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. სამსახურის რეგისტრირებული მონაცემების ყველა ცვლილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
3.წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
4.თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1.წინამდებარე წესდება ძალაში შედის ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანებისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან.
2.თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
3.საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე წესდებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.